შეხვედრის ოქმი
7 აპრილი, ოზურგეთი
ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2016

ოზურგეთში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საჯარო სკოლების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მრჩეველმა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, მარიამ თუთბერიძემ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მარიამ თავდგირიძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით გაიწეროს ღია მმართველობა საქართველოს 2016–2017 წლის სამოქმედო გეგმაში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა თამარ ნადიბაიძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნო IDFI-ს რეკომენდაციები მესამე სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია დაიწყოს პროგრამული ბიუჯეტის შემუშავება მუნიციპალიტეტებისთვის;
- შეხვედრის მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოხატეს თემში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და განმარტეს, რომ მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის მონაწილეობა თემის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას ყველა შესაძლო ტექნოლოგიის გამოყენებით და აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბჭოში დაგეგმილი საჯარო შეხვედრების შესახებ ინფორმაციის/განრიგის გამოქვეყნების წესის შემუშავება;
- შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის მონიტორინგის გაძლიერება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოსახლეობას დროულად მიეწოდოს სრული ინფორმაცია სამრეწველო ნარჩენების შესახებ;
- შეხვედრის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება მათი პოლიტიკის ფორმირების პროცესში ჩართვის უფლების შესახებ, როგორც ადგილობრივ ისე

ცენტრალურ დონეზე. ასევე, აღნიშნული უფლების განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

- შეხვედრის მონაწილეებმა მნიშვნელოვნად ჩათვალეს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ვალდებულების აღება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარკვეული თანხის გამოყოფის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ინიცირებული პროექტებისათვის;
- შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია ადგილობრივი ბიუჯეტის სახელმძღვანელოს შემუშავება მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე;
- შეხვედრის მონაწილეებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ოზურგეთის იუსტიციის სახლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირება;
- შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ტენდერის ჩატარებისას ხარისხის მოთხოვნაზე;
- შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია სსიპ „112“-ის დეცენტრალიზაცია და დასავლეთ საქართველოში ქოლ-ცენტრის დაფუძნება;
- შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სახელმწიფო ტენდერების განხორციელების მონიტორინგისა და გამჭვირვალობის გაზრდის მნიშვნელობას.